

## თავი - 10

### მოთხოვნების აღრიცხვა

#### შენარჩუნები

- ❖ მოთხოვნების არსი;
- ❖ მოთხოვნების კლასიფიკაცია;
- ❖ მოკლევადიანი მოთხოვნების აღრიცხვა:
  - ◆ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან;
  - ◆ უიმულო და საეჭვო მოთხოვნები;
  - ◆ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები;
  - ◆ სათამასუქო მოთხოვნები;
  - ◆ დარიცხული მოთხოვნები
- ❖ გრძელვადიანი მოთხოვნების აღრიცხვა.
- ❖ ახსნა განმარტებები

## 10 . 1 . მოთხოვნების პრინციპები

წინა თავებში ჩვენ გავეცანით დარიცხვის მეთოდს, რომელიც განსაზღვრავდა შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების წესს, კერძოდ შემოსავლის აღიარება განისაზღვრება საქონლის ან მომსახურების მიწოდებით და არა ფულის შემოსავლით. ამ კონცეფციიდან გამომდინარე საწარმოს წარმოეშობა ისეთი შემოსაგალი, რომელზეც მიღებული აქვს “ფულის მოთხოვნის უფლება” და არა ფული.

მსგავსი მოთხოვნის უფლებები საწარმოს წარმოეშობა არა მარტო რეალიზაციის დროს, არამედ სხვა პირებთან ნებისმიერი ისეთი გარიგების დროს, რომელიც წარმოქმნის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლებას.

ასეთი გარიგებები შეიძლება უკავშირდებოდეს: აქტივების მიწოდებას, მომსახურების გაწევას, სესხების გაცემას, სხვა ორგანიზაციებისათვის ავანსების გადახდას და ა.შ.

მოთხოვნის სახით მისაღები სარგებლი იწოდება – დებიტორულ დავალიანებად და ის აისახება საწარმოს აღრიცხვაში, როგორც აქტივი.

**პირები ვისთანაც აქვს საწარმოს მოთხოვნა იწოდება – დებიტორულია.**

მოთხოვნა- დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ მისაღები ფულია და მისი შეფასება დამოკიდებულია ამ პერიოდზე.


მოთხოვნა, როგორც აქტივი, აღიარდება, თუ შესაძლებელია:

- ✓ ეკონომიკური სარგებლის მომავალში შემოდინება;
- ✓ მისი ღირებულების სამედოდ შეფასება.


## 10 . 2 . მოთხოვნების პლასივიკაცია

მოთხოვნების ასახვა ფინანსურ აღრიცხვაში ხდება ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ დაფარვის ვადებისა და ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

სქემა №1



სქემა №2



## 10 . 3 . მოკლევადიანი მოთხოვნების აღრიცხვა

### 10 . 3 . 1 . მოთხოვნები მიზოდებიდან და მომახურებიდან

საწარმოთა შემოსავლის ძირითად წყაროდ, საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლებია. საქონლის გაყიდვა და მომსახურების გაწევა შესაძლებელია როგორც იმავდროული ანგარიშსწორებით ასევე შესაძლებელია კრედიტში.

თუ რეალიზაცია ხდება კრედიტით, მაშინ მყიდველი საქონლის, მომსახურების მიღებისას არ იხდის ფულს. ამ დროს მყიდველსა და გამყიდველს შორის ფორმდება დოკუმენტი (ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა), სადაც მიეთითება გაყიდული საქონლის, ჩამონათვალი, ანაზღაურების პირობები და სხვა ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მოხდა გარიგება.

დარიცხვის მეთოდის თანახმად რეალიზაციიდან შემოსავალი აღიარდება, როცა დასტურდება ამ ოპერაციიდან ფულის (ეკონომიკური სარგებლის) მიღების შესაძლებლობა ახლა ან შემდგომში.

ამიტომ, რეალიზაციის კონცეფციის თანახმად, კრედიტში რეალიზაციის შემთხვევაში არ არის საჭირო ველოდოთ ფულის შემოსვლას, არამედ მიწოდებისთანავე ვალიარებთ

რეალიზაციიდან შემოსავალს და შესაბამისად აქტივებში ფულის ნაცვლად ავსახავთ – მოთხოვნას მიწოდებიდან და მომსახურებიდან.

დებიტორული დავალიანების აღსარიცხავად გათვალისწინებულია ანგარიშთა გეგმით **ანგ. 1410 – “მოთხოვები მიწოდებიდან და მომსახურებიდან”**. იგი აქტიური სინთეზური ანგარიშია და გამოიყენება საწარმოდან მყიდველებისათვის საქონლის, პროდუქციის მიწოდების და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებაში მომზდარი ცვლილებების აღსარიცხავად. მოთხოვნების ასახვა დაკავშირებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე შემოსავლების აღიარებასთან და ბუღალტრულად აისახება შემდეგი კორესპოდენციით:

**დ. 1410 – “მოთხოვები მიწოდებიდან და მომსახურებიდან”**

**კ. 6110 – “შემოსავლები რეალიზაციიდან”**

ანგ. 6110 – “საოპერაციო შემოსავლების” ამსახველი ანგარიშია, მის კრედიტში იწერება შემოსავლების ზრდა, ხოლო დებეტში კი შემოსავლების ჩამოწერა, შემცირება. იგი დროებითი ანგარიშია, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იხურება.

დებიტორის მიერ ფულის გადახდის დროს ოპერაცია აისახება შემდეგნაირად:

**დ. 1110 – “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”**

**დ. 1210 – “ეროვნული ვალუტა რეზივენტ ბანკში”**

**კ. 1410 – “მოთხოვები მიწოდებიდან და მომსახურებიდან”**

საქონლის კრედიტში მიწოდებას, როგორც გაყიდვის ფორმას, ბევრი კომპანია იყენებს. კრედიტში გაყიდვას აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობები, რომლის გამოც ის ფართოდ არის გავრცელებული ბიზნესში, კერძოდ:

- ✓ გაყიდვის გაფართოების შესაძლებლობა;
- ✓ ერთგული კლიენტებისადმი მხარდაჭერა;
- ✓ კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.

მაგრამ კრედიტში გაყიდვისას გასათვალისწინებელია ის რისკები, რომელიც ბუნებრივად მოსდევს ამ პროცესს:

- ✓ ფული მოგვიანებით შემოდის და ამ დროში სარგებელს არ იძლევა;
- ✓ ფულის მასა იქლებს და გადახდისუნარიანობა მცირდება;
- ✓ ჩნდება უიმედო ვალის წარმოქმნის პოტენციური რისკი.

ამ რისკების შესამცირებლად საწარმოები მიმართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს, მათ შორის არის კრედიტში გაყიდვების ლიმიტის დაწესება, რომელიც:

- ✓ ზრდის მყიდველის პასუხისმგებლობას;
- ✓ წარმოადგენს კრედიტების კონტროლის სტრატეგიას;
- ✓ ამცირებს უიმედო ვალების წარმოქმნის რისკს.

გარდა ამისა, გამყიდველი მხარე მიმართავს გადახდების მასტიმულირებელ სხვადასხვა მეთოდს, მაგალითად ფასდაკლებას (დისკონტს). ამ ოპერაციის ასახვისათვის გამოიყენება **6100 “საოპერაციო შემოსავლები”** ანგარიშის კონტრალური ანგარიში – **6120 “გაყიდვები საქონლის დაბრუნება და ფასდამობა”**. იგი კონტრალური ანგარიშია, რომელიც აკლდება რეალიზაციიდან შემოსავალს და ვლებულობთ წმინდა რეალიზაციას.

საწარმოთა უმრავლესობა საშუალებას აძლევს მომხმარებელს დეფექტის აღმოჩნდის შემთხვევაში, უკან დაბრუნოს საქონელი ან მოითხოვოს ფასის დაკლება, თუ ეს დეფექტი უმნიშვნელოა. ამ ოპერაციის ასახვა შეიძლებოდა **6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“** - ანგარიშის დადებეტების გზით, მაგრამ მისი ცალკე **6120 „გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა“** ანგარიშსზე აღრიცხვა იძლევა რეალიზაციის საერთო მოცულობაში მისი წილის შეფასების საშუალებას. ამდენად ანგ. **6120 „გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა“** გამოიყენება ფასდაკლებისა და დაბრუნებისას შემოსავლების შესასწორებლად.

საქონლის კრედიტში გაყიდვის შემთხვევაში გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა გამყიდველსა და მყიდველს შორის გაყიდვის პირობების ხაზგასმით დაფიქსირება. თუ მყიდველის მიერ სავაჭრო კრედიტი მთლიანად უნდა დაიფაროს, ვთქვათ 30 დღის განმავლობაში, ეს პირობა მოკლედ ასე ჩაიწერება **n/30 (n-გადახდის პერიოდი)**.

როგორც ზემოთ ვთქვით, ზოგიერთ შემთხვევაში, საწარმოები მყიდველებს სთავაზობენ სხვადასხვა შეღავათებს, რაც აისახება კრედიტის პირობებში. მაგალითად, კრედიტის პირობაა: **2% - 10 დღეში, სრულად 30 დღეში (შემოკლებით 2/10, n/30)** გულისხმობს, რომ კრედიტის ხანგრძლივობა განისაზღვრება 30 დღით, მაგრამ თუ მომხმარებელი მის დაფარვას მოახდენს 10 დღის განმავლობაში, მაშინ მას შეუძლია ანგარიშ-ფაქტურაში დაფიქსირებული თანხა გადაიხადოს 2%-იანი ფასდაკლებით. 10 დღიან პერიოდს ფასდაკლების ან სხვანაირად დისკონტირების პერიოდი ეწოდება.

### სიღუსტრაციო მავალითი:

ანგარიშ-ფაქტურის თანახმად 15 ნოემბერს „ა“ კომპანიამ მყიდველებს გაუგზავნა საქონელი 4.000 ლარის ღირ-ბით, შემდეგი საკრედიტო პირობით 2/10 n/30. ავსახოთ ბუღალტრულად:

- დ. **1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ – 4.000 ლ.**
- კ. **6110 „შემოსავლები რეალიზაციიდან“ – 4.000 ლ.**

მყიდველმა 25 ნოემბრამდე ზემოთ აღნიშნული პირობით გადაიხადა საქონლის ღირებულება. მაშინ იგი ისარგებლებს ფასდაკლებით და გადაიხდის (4.000-ის 2%) 80 ლარით ნაკლებს. ავსახოთ ბუღალტრულად:

- დ. **1210 „ეროვნული ვალუტა რეზივენტ ბანკში“ – 3.920 ლ. (4.000-80)**
- დ. **6120 „გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა“ – 80 ლ.**
- კ. **1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ – 4.000 ლ.**

დაუშვათ გადახდა მოხდა 30 ნოემბერს. ავსახოთ ბუღალტრულად:

- დ. **1210 „ეროვნული ვალუტა რეზივენტ ბანკში“ – 4.000 ლ.**
- კ. **1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ – 4.000 ლ.**

ოპერაციის ამგვარად ასახვას ვუწოდებთ – **მოლიანი თანხის მეთოდი**. თუმცა საწარმომ შეიძლება გამოიყენოს **წმინდა თანხის მეთოდი**, როცა თავიდანვე აღიარებს ფასდათმობას, ხოლო თუ არ გამოიყენებს დებიტორი შეღავთს, შემდგომ შეასწორებს მოთხოვნას.

წმინდა თანხის ძეთოდის შემთხვევაში ზემოთ მოყვანილი მაგალითის ბუღალტრულ გატარებას უქმდა შემდეგი სახ:

### 15 ნოემბრისათვის:

- დ. 1410 “მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან” – 3.920 (4.000 – 80)
- დ. 6120 “გაფიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა” – 80
- კ. 6110 “შემოსავალი რეალიზაციიდან” – 4.000

დებიტორი არ სარგებლობს ფასდათმობით. ფასდათმობის ვადა იწურება 25 ნოემბერს ე.ო. გვექნება:

### 25 ნოემბრისათვის:

- დ. 1410 “მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან” - 80
- კ. 6190 “სხვა საოპერაციო შემოსავლები” – 80

დებიტორმა გადახდა განახორციელა 30 ნოემბერს.

### 30 ნოემბრისათვის:

- დ. 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში” – 4.000
- კ. 1410 “მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან” – 4.000

## 10 . 3 . 2 . უიმედო და საეჭვო მოთხოვნები

კრედიტში გაყიდვისას ძირითადი პრობლემა ფულის ამოღებასთან არის დაკავშირებული. შეუძლებელია წინასწარ ზუსტად იმის განსაზღვრა, დაფარავს თუ არა დებიტორი დავალიანებას. მხოლოდ ის ფაქტი, რომ დებიტორმა კონტრაქტის მიხედვით არ გადაიხადა პროდუქტის რეალიზაციის თანხა, არ მეტყველებს იმაზე, რომ დავალიანება არ დაიფარება. დებიტორის გაკოტრება ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია იმისა, რომ დავალიანება ან ნაწილობრივ ან საერთოდ არ დაიფარება. სხვა ფაქტორებია: საწარმოს დახურვა, დებიტორის გაქრობა, დავალიანების ამოღების რამდენიმე ამაო მცდელობა და კონტრაქტის შეზღუდვების მუხლის თანახმად დავალიანების ამოღების შეუძლებლობა.

ალნიშნული გარემოება განაპირობებს მოთხოვნების უიმედობას, რაც თავისთავად უნდა ჩამოიწეროს. უიმედო მოთხოვნების ჩამოწერის აუცილებლობა ნაკარნაზევია შესაბამისობისა და საიმედობის მოთხოვნით. თუ საწარმოს საკმარისი მტკიცებულება გააჩნია იმის შესახებ, რომ დებიტორი ვერ შეძლებს დავალიანების გადახდას, მან ასეთი მოთხოვნა უნდა გააუქმოს და ფინანსურ ანგარიშგებაში არ უნდა ასახოს ის მოთხოვნები, რომელთა მიღება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს უიმედო ვალების წარმოშობის შესაძლებლობა და ფინანსურ ანგარიშგებაში არ უნდა ასახოს ის მოთხოვნები, რომელთა მიღებაც საეჭვოა და რომელიც შემდგომში შეიძლება უიმედო ვალის სახით ჩამოსაწერი გახდეს. ამისთვის უნდა შექმნას საეჭვო დებიტორული დავალიანების რეზერვი. ეს რეზერვი ორ მიზანს ემსახურება:

- 1) საეჭვო დებიტორული დავალიანება ხარჯად აღირიცხება იმავე საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც აღირიცხა პროდუქტის რეალიზაციის შედეგად წარმოშობილი დებიტორული დავალიანება; და

2) დებიტორული დავალიანება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღირიცხება ამ დავალიანების სუფთა სარეალიზაციო ღირებულებით, ანუ იმ თანხით, რომლის ამოღებაც საწარმოს რეალურად შეუძლია.

**ბასს 18 “ამონაგები” ვანმარტავს – თუ ამონაგები უკვ ასახულია და დებიტორისგან თანხის გადახდა საუჭვო ხდება, ამოსაღები თანხა უნდა აღიარდეს ხარჯის სახით და არა როგორც ამონაგების შესწორება.**

ერთხელ კიდევ დავაკონკრეტოთ ტერმინები: საუჭვო ვალი და უიმედო ვალი.

**საუჭვო ვალი – ვალი, რომლის მიუღებლობის რისკი მაღალია, მავრამ საწარმო მას მაინც ელოდება;**

**უიმედო ვალი – ვალი, რომლის დაფარვის პირობები აღარ არსებობს და მისი მიღება შეუძლებელია.**

ამოუღებადი (საუჭვო) დებიტორული დავალიანების ვამოთვლა ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მაგ: **31 დეკემბრის მდგომარეობით.**

გამოანგარიშებული ამოუღებადი დებიტორული დავალიანება აისახება ხარჯებში **7460 „საუჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები”**-ს ანგარიშზე და **1410 „მოთხოვნების“** კონტრალურ ანგარიშზე **1415 „საუჭვო მოთხოვნების კორექტირება”**.

ბუღალტრულად ოპერაცია აისახება:

**დ. 7460 – “საუჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები”**

**კ. 1415 – “საუჭვო მოთხოვნების კორექტირება”**

ანგ. **1415 „საუჭვო მოთხოვნების კორექტირება“** კონტრალური, პასიური ანგარიშია და არეგულირებს ბალანსის აქტივში ანგ. **1410-ს „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“** წლის ბოლოს **1415 „საუჭვო მოთხოვნების კორექტირება“** ანგარიშს ყოველთვის უნდა ექნეს საკრედიტო ნაშთი, რომელიც აკლდება **1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“** ანგარიშს, რის შედეგადაც დებიტორული დავალიანება ბალანსში აისახება იმ თანხით, რომლის ამოღებაც საწარმოს რეალურად შეუძლია, ხოლო **7460 „საუჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები”** დროებითი ანგარიშია, ის იხურება მოგება-ზარალზე, რის შედეგადაც თავდაპირველად აღიარებული შემოსავალი სწორდება ამოუღებადი დებიტორის თანხით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ამოუღებადი დებიტორული დავალიანების ჩამოწერა საკრედიტო მენეჯერის ან სხვა უფლებამოსილი პირის წერილობითი ინსტრუქციების გაცემის შემდეგ უნდა მოხდეს. ჩამოწერაზე შედგება ასეთი ბუღალტრული გატარება:

**დ. 1415 – “საუჭვო მოთხოვნების კორექტირება”**

**კ. – 1410 “მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან”**

ჩამოწერილი დებიტორული დავალიანება შეიძლება მოგვიანებით დაიფაროს. ამ შემთხვევაში, ჯერ ჩამოწერის გატარების საწინააღმდეგო გატარებაა საჭირო, ძველი დებიტორის აღსადგენად:

**დ. 1410 – “მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან”**

**კ. 1415 – „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება“**

ამის შემდეგ უნდა მოხდეს გადახდის გატარება:

**დ. 1210 - „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“**

**კ. 1410 – „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“**

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში წლის ბოლომდე, ანგ. 1415-ზე „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება“ ზოგჯერ შეიძლება იყოს დებეტის ნაშთი. ეს გამოწვეულია ამოუღებადი დებიტორული დავალიანების რეზერვის არაზუსტი გათვლით. თუ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჩამოწერილი ვალების თანხა აღემატება ანგარიშის საწყის ნაშთს, ე.ი. ანგ. 1415-ის დებეტის მხარე მეტი აღმოჩნდება, კრედიტის მხარეზე, ნაშთი იქნება სადებულო. წლის ბოლოს ანგ. 1415-ზე ნაშთი უნდა შესწორდეს და საბოლოოდ უნდა დარჩეს კრედიტის მხარეს იმ ოდენობით, რაც საჭიროა მომავალ საანგარიშგებო პერიოდში ამოუღებადი მოთხოვნების ჩამოსაწერად.

საწარმო პერიოდულად უნდა აფასებდეს დებიტორული დავალიანების ამოღებადობას. ეს შეფასება უნდა ეფუძნებოდეს დებიტორის მიერ დავალიანების დაფარვის ისტორიას, დებიტორული დავალიანების სიძეველეს, დებიტორის მიმდინარე ფინანსურ მდგომარეობას და საწარმოსთან ურთიერთობას.

ამოუღებადი დებიტორული დავალიანების გამოთვლის ორი მეთოდი არსებობს:

**ანალიზის საფუძველზე** სიძეველის მიხედვით დაჯგუფებულ დებიტორულ დავალიანებათა პროცენტულად გათვლის მეთოდი; და

**რეალიზაციის მოცულობიდან პროცენტულად გათვლის მეთოდი.**

**ანალიზის მეთოდი.**

თუ საწარმო იყენებს ანალიზის მეთოდს, აუცილებელია დებიტორული დავალიანების კლასიფიცირება, გადახდის ვადის გადაცილების მიხედვით და დავალიანების კატეგორიების დადგენა საწარმოს საკრედიტო პირობების გათვალისწინებით.

ანალიზის მეთოდის დროს, ყოველთვის ხდება ნაშთის კორექტირება. თუ საანგარიშგებო პერიოდში ანგ. 1415-ზე გვაქვს სადებეტო ნაშთი, მაშინ იგი უნდა დაემატოს 31 დეკემბრისათვის დადგენილ ამოუღებად დებიტორულ დავალიანების თანხას და ისე დაეწერება ხარჯებს, ხოლო თუ ნაშთი ანგ. 1415-ზე საკრედიტოა, მაშინ იგი გამოაკლდება 31.12-ს დაგენილი ამოუღებად დებიტორული დავალიანების თანხას და ისე დაეწერება ხარჯებს ასეთი ბუღალტრული გატარებით:

**დ. 7460 – „საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები“**

**კ. 1415 – „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება“**

**საილუსტრაციო მაგალითი:**

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს „ა“ კომპანიის მმართველობამ წარსული გამოცდილებით და მიმდინარე დებიტორული დავალიანების გაანალიზებით, დაკავუთა დებიტორები შემდეგ კატეგორიებად და პროცენტულად განსაზღვრა საეჭვო ვალების რეზერვის თანხები შეძლევი ღდენობით. (ანგ. 1415-ზე კრედიტის ნაშთი იყო 2000 ლარი).

სქემა №3

გადახდის ვადას გადაცილებული დღეები	ლიმიტირებული დაცულობების თანხა	რეზერვის %	რეზერვის თანხა
მიმდინარე დებიტორები	40 000	2%	800
0-30 დღემდე გადაცილებული დებიტორები	5 000	5%	250
30-60 დღემდე გადაცილებული დებიტორები	3 000	10%	300
60-90 დღემდე გადაცილებული დებიტორები	2 000	20%	400
90 დღიდან 1 წლამდე გადაცილებული დებიტორები	1 000	30%	300
1 წელზე მეტი ვადით გადაცილებული დებიტორები	3 000	60%	1 800
<b>სულ:</b>	<b>54 000</b>		<b>3 850</b>

დებიტორთა ანალიზმა დაგვანახა, რომ მომავალ პერიოდში შეიძლება ამოუღებადი იქნას 3850 ლარის დებიტორი ე.ი. საეჭვო ვალების რეზერვის ანგარიშშე წლის ბოლოს არსებული ნაშთი უნდა შეადგენდეს 3850 ლარს (რამდენადაც აქ ყველა არსებული დებიტორია გაანალიზებული). როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ამ ანგარიშს 31 დეკემბრისათვის (როცა ვახდენთ რეზერვის გათვლას) აქვს საკრედიტო ნაშთი 2000 ლარი ე.ი. უნდა დაკრედიტდეს სხვაობა  $3850 - 2000 = 1850$  ლარი.

**დავიძახსოვთ!** დებიტორთა ანალიზის მეთოდით გათვლილი საეჭვო ვალების რეზერვის თანხა წარმოადგენს ამ ანგარიშზე დაფიქსირებულ ნაშთს და მასზე საკრედიტო ბრუნვა გათვლება წინა ნაშთის გათვლისწინებით. თუ ამ ანგარიშის წინა ნაშთი სადებულოა. გათვლილ თანხას დაუმატება სადებულო ნაშთის თანხა და ორივეს ჯამი დაკრედიტდება საეჭვო ვალების რეზერვის ანგარიშზე.

**მაგალითად,** თუ წინა მაგალითში **1415 “საეჭვო მოთხოვნების კორექტირება”** ანგარიშზე წინა ნაშთი იქნებოდა სადებულო 1.000 ლარი, მაშინ დასაკრედიტებული თანხა იქნებოდა:  **$3.850 + 1.000 = 4.850$**  ლარი რომელიც გატარდებოდა:

**დ.** 7460 “საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ზარჯები” – 4850 ლ.

**კ.** 1415 “საეჭვო მოთხოვნების კორექტირება” – 4850 ლ.

აღნიშნული გატარების შემდეგ საეჭვო ვალების რეზერვის ანგარიშს ექნება საკრედიტო ნაშთი – **3.850** ლარი.

**საეჭვო მოთხოვნების რეალიზაციიდან პროცენტულად გათვლის მეთოდი:**

ამ მეთოდის დროს ამოულებადი %-ტი განისაზღვრება წარსული გამოცდილების საფუძველზე. გაანგარიშება ხდება:

1. ნეტო რეალიზაციიდან ან
2. ნეტო კრედიტში რეალიზაციიდან

### სამუშაოების მავალითი:

კომპანიის წინა წლების ანალიზი შეძლებ სურათს იძლევა:

წლები	ნეტო კრედიტით რეალიზაციის თანხა ლარებში	დებიტორული დავალიანების გადაუხდელობთ დანაკარგი ლარებში	პროცენტი
20X9	500,000	25,000	5
20X0	400,000	14,000	3.5
20X1	380,000	12,540	3.3
<b>სულ:</b>	<b>1,280,000</b>	<b>51,540</b>	<b>4.0</b>

კომპანიის მთლიანი შემოსავალი შეადგენს 100,000 ლარს (ანგ. 6110 “შემოსავალი რეალიზაციისას”). უკანდაბრუნებული საქონელი შეადგენს (ანგ. 6120 “გაყიდვების საქონლის დაბრუნება და ფასდათობა”) – 1,500 ლარს. კომპანია ვარაუდობს, რომ წმინდა რეალიზებული პროდუქციის 4% ამოულებადი იქნება, წინა გამოცდილებიდან გამომდინარე წმინდა შემოსავალი იქნება  $100.000 - 1.500 = 98.500$  ლარი.  $98.500\text{-ის } 4\% = 3.940$  ლარს.

რეალიზაციიდან პროცენტულად გათვლის მეთოდის საფუძველს წარმოადგენს სანაგარიშებო წლის რეალიზაციის მოცულობა, ამიტომ ამ მეთოდით გათვლილი თანხა წარმოადგენს საეჭვო ვალების რეზერვის ანგარიშზე დასაკრედიტებელ ციფრს და ანგარიშზე დარჩენილ წინა საკრედიტო ნაშთს არ ვეხებით. თუ წინა ნაშთი საკრედიტოა, რეზერვის ანგარიშზე ამ მეთოდით გამოთვლილ თანხას პირდაპირ ვაკრედიტებთ, ხოლო თუ ნაშთი სადებუტოა (ე.ი. წლის განმავლობაში ჩამოიწერა იმაზე მეტი დებიტორი ვიდრე საეჭვო ვალების რეზერვის ანგარიშზე წლის დასაწყისისათვის იყო გათვლილი), მაშინ დასაკრედიტებელ თანხას უნდა დაემატოს სადებუტო ნაშთის თანხა და ისე დაკრედიტდეს.

**დავიძახსოვროთ!** საეჭვო ვალების რეზერვის შექმნის რეალიზაციიდან პროცენტულად გათვლის მეთოდის გამოყენების დროს, გათვლილი თანხა წარმოადგენს საეჭვო ვალების რეზერვის ანგარიშისათვის საჭირო საკრედიტო ბრუნვის თანხას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ანგარიშს წინა ნაშთი სადებუტო აქვს).

კონკრეტულად, ამ მავალითში საეჭვო ვალების რეზერვის ანგარიშს წინა ნაშთი აქვს საკრედიტო 1.000 ლარი, მაშინ დასაკრედიტებელი თანხა იქნება – 3.940 ლარი. გატარება:

- დ. 7460 “საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები” – 3.940 ლ.  
კ. 1415 “საეჭვო მოთხოვნების კორექტირება” – 3.940 ლ.

და ანგარიშს ექნება ახალი საკრედიტო ნაშთი  $1.000 + 3.940 = 4.940$  ლარი. თუ დაუშვებთ, რომ 1415 “საეჭვო მოთხოვნების კორექტირება” ანგარიშს წინა ნაშთი აქვს სადებუტო 1.000 ლარი,

ძაშინ დასაკრედიტებული თანხა იქნება  $1.000 + 3.940 = 4.940$  ლარი. და ანგარიშს უქნება ახალი საკრედიტო ნაშთი  $3.940 (-1000+4940)$  ლარი. ვატარება იქნება:

- დ. 7460 „საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები” – 4.940 ლ.  
კ. 1415 „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება” – 4.940 ლ.

სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე შეიძლება აისახოს შემდეგი ოპერაციები:

1) საქონლის რეალიზაცია კრედიტში:

- დ. 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან”  
კ. 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან”

2) დებიტორილი დავალიანების დაფარვა:

- დ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში” ან  
დ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშებზე”  
კ. 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან”

3) უიმედო დებიტორის ჩამოწერა:

- დ. 1415 „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება”  
კ. 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან”

4) ჩამოწერილი დებიტორის აღდგენა:

- დ. 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან”  
კ. 1415 „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება”.

სქემა №4

#### აგზ. 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან”

დებეტი	კრედიტი
ნაშთი პ/დ –	
დებეტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის კრედიტს:	კრედიტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის დებეტს:
1) კ. 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან” 4) კ. 1415 „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება”	2) დ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში” ან დ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე” 3) დ. 1415 „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება”
ნაშთი პ/ბ –	

საეჭვო მოთხოვნების კორექტირების ანგარიშზე შეიძლება აისახოს შემდეგი ოპერაციები:

1) საეჭვო ვალის რეზერვის შექმნა, კორექტირება:

- დ. 7460 „საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები”  
კ. 1415 „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება”

2) უიმედო ვალის ჩამოწერა:

დ. 1415 „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება”

კ. 1410 „მოთხოვნები მიწოდებილან და მომსახურებილან”;

3) რეზერვის ნაშთის კორექტირება, ანულირება:

დ. 1415 „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება”

კ. 6190 „სხვა საოპერაციო შემოსავალი”.

სქემა №5

#### აგზ. 1415 “სამშვილ მოთხოვნების კორექტირება”

დგბეტი	პრედიტი
	ცავით პ/დ –
დგბეტით ეკორესპონდენტება შემდეგი ანგ-ის კრედიტს:	კრედიტით ეკორესპონდენტება შემდეგი ანგ-ის დებეტს:
2) კ. 1410 “მოთხოვნები მიწოდებილან და მომსახურებილან”	1) დ. 7460 “საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები”
3) კ. 6190 “სხვა საოპერაციო შემოსავალი”	
	ცავით პ/ბ –

### 10 . 3 . 3 . სხვა მოპლევალიანი მოთხოვნები

საწარმოში, გარდა მიწოდებილან და მომსახურებილან წარმოქმნილი მოთხოვნებისა, ხშირად გამოიყენება სხვა მოთხოვნების ამსახველი ანგარიშები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სამეურნეო ოპერაციებთან:

- ✓ მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ;
- ✓ მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ;
- ✓ მოთხოვნები ხელმძღვანელების და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ;
- ✓ მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხიდან;
- ✓ კაპიტალის შეკვებაზე პარტნიორების გრძენვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი;
- ✓ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები.

### მოთხოვნები გეგავშირე საფარმოს მიმართ

საწარმოები, რომლებიც ინვესტირების მხრივ არიან ურთიერთდაკავშირებული, შეიძლება ჩვეულებრივად ახორციელებდნენ ერთმანეთთან სავაჭრო ურთიერთობებს (ყიდვა-გაყიდვას), რომელსაც შეიძლება მოპყვეს დებიტორული დავალიანებების წარმოქმნა. ფინანსური ანგარიშების მომზადებისას საწარმოს მეკავშირე საწარმოებთან განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის ცალკე დამუშავება მოეთხოვება (ამ საკითხს უფრო ფართოდ განვიხილავთ შემდეგ თემაში).

ამისათვის საწარმოები ამ ანგარიშს ცალკე აწარმოებენ ანგ. 1420 „მოთხოვნები მეცავშირე საწარმოების მიმართ“.

ანგარიშსზე 1420 „მოთხოვნები მეცავშირე საწარმოების მიმართ“ შეიძლება აისახოს შემდეგი ოპერაციები:

1) მეცავშირე საწარმოზე გაიცა მოკლევადიანი სესხი:

დ. 1420 „მოთხოვნები მეცავშირე საწარმოს მიმართ“

კ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში“ ან

კ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე“

2) საქონლის, პროდუქციის რეალიზაცია მეცავშირე საწარმოსთან:

დ. 1420 „ მოთხოვნები მეცავშირე საწარმოს მიმართ“

კ. 6110 „შემოსაგალი რეალიზაციიდან“

3) მეცავშირე საწარმომ დაფარვა მოკლევადიანი მოთხოვნა მის მიმართ:

დ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში“ ან

დ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე“

კ. 1420 „მოთხოვნები მეცავშირე საწარმოს მიმართ“.

## სქემა №6

### ანგ. 1420 „მოთხოვნები მეცავშირე საწარმოს მიმართ“

დგბეტი	პრედიტი
ნაშთი პ/დ –	კრედიტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის დებეტს:
დებეტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის კრედიტს:	<p>1) კ. 1100 “ნაღდი ფული სალაროში”</p> <p>კ. 1200 “ფული საბანკო ანგარიშზე”</p> <p>2) კ. 6110 „შემოსაგალი რეალიზაციიდან“</p> <p>3) დ. 1100 “ნაღდი ფული სალაროში”</p> <p>დ. 1200 “ფული საბანკო ანგარიშზე”</p>
ნაშთი პ/გ –	

### მოთხოვნები საწარმოს პრისტანის მიმართ

საწარმოს თავისი პარტნიორებისა და მომუშავეების მიმართ მოთხოვნები შეიძლება წარმოეშვას მათვის გარკვეული შეღავთების მინიჭებასთან, საწარმოს წინაშე ვალდებულების შესრულებასთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ანგარიშსზე 1430 „მოთხოვნები საწარმოს პრისტანის მიმართ“ შეიძლება აისახოს შემდეგი სახის სამეურნეო ოპერაციები:

1) გაიცა სესხი საწარმოს თანამშრომელზე:

- დ. 1430 „მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ”  
კ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე”

2) გაიცა თანხა აქტივების შესაძენად:

- დ. 1430 „მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ”  
კ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში”

3) მიეყიდა საქონელი, პროდუქცია კრედიტში:

- დ. 1430 „მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ”  
კ. 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან”

4) სესხის დაფარვა:

- დ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში” ან  
დ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე”  
კ. 1430 „მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ”

5) საქონლის, პროდუქციის ღირებულების დაფარვა:

- დ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში” ან  
დ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე”  
კ. 1430 „მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ”

6) აქტივების შეძენა:

- დ. 1600 „სასაქონლო-მატერიალური მარაგი” ან  
დ. 2100 „ძირითადი საშუალებები” ან  
დ. 2500 „არამატერიალური აქტივი”  
კ. 1430 „მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ”.

სქემა №7

#### ანგ. 1430 “მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ”

დებეტი	კრედიტი
ნაშთი პ/ჩ –	კრედიტით ეკორესპონდენტება შემდეგი ანგ-ის დებეტს:
1) კ. 1200 “ფული საბანკო ანგარიშზე” 2) კ. 1100 “ნაღდი ფული სალაროში” 3) კ. 6110 “შემოსავალი რეალიზაციიდან”	4) დ. 1100 “ნაღდი ფული სალაროში” დ. 1200 “ფული საბანკო ანგარიშზე” 5) დ. 1600 “მარაგი” დ. 2100 “ძირითადი საშუალებები” დ. 2500 “არამატერიალური აქტივები”
ნაშთი პ/ბ –	

**მოთხოვნები ხელმძღვანელების და სამეთვალყურეო ორგანოების ფესტივალის მიმართ**

საწარმო ცალკე გამოყოფს ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც წარმოიშობა ხელმძღვანელებსა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ. ამ ინფორმაციის ცალკე გამოყოფა საკანონმდებლო მოთხოვნებითაც შეიძლება იყოს განსაზღვრული.

ანგარიშზე **1440 „მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ“** შეიძლება აისახოს შემდეგი სახის სამეცნიერო ოპერაციები:

1) გაიცა მოკლევადიანი სესხი:

- ღ. 1440 „მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ“  
 ქ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში“ ან  
 ქ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე“

2) მიეყიდა საქონელი, პროდუქცია:

- ღ. 1440 „მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ“  
 ქ. 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“;

3) დაიფარა მოკლევადიანი სესხი:

- ღ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში“ ან  
 ღ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე“  
 ქ. 1440 „მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ“

სქემა №8

**ანგ. 1440**

“მოთხოვნები ხელმძღვანელების და სამეთვალყურეო ორგანოების ფესტივალის მიმართ”

დებეტი	პრედიტი
ნაშთი პ/დ –	
დებეტით ეკორესპონდენტება შემდეგი ანგ-ის კრედიტს:	კრედიტით ეკორესპონდენტება შემდეგი ანგ-ის დებეტს:
1) ქ. 1200 “ფული საბანკო ანგარიშზე” ქ. 1100 “ნაღდი ფული სალაროში” 2) ქ. 6110 “შემოსავალი რეალიზაციიდან”	3) ღ. 1100 “ნაღდი ფული სალაროში” ღ. 1200 “ფული საბანკო ანგარიშზე”
ნაშთი პ/ბ –	

### მოთხოვნები პარტიორებზე გაცემული სესხებიდან

საწარმოში პარტიორებზე სესხის გაცემის გადაწყვეტილებას ძირითადად იღებს პარტიორთა კრება და მისი ოდენობა და დაფარვა ცალკე უნდა კონტროლდებოდეს, ამდენად მნიშვნელოვანია მისი ცალკე ასახვა. ამ ინფორმაციის ასახვისათვის საწარმო იყენებს ანგ. **1450 „მოთხოვნები პარტიორებზე გაცემული სესხებიდან”**.

**1450 „მოთხოვნები პარტიორებზე გაცემული სესხებიდან”** ანგარიშზე შეიძლება აისახოს შემდეგი სახის სამურნეო ოპერაციები:

1) გაიცა სესხი პარტიორებზე:

დ. **1450 „მოთხოვნები პარტიორებზე გაცემული სესხიდან”**

კ. **1100 „ნაღდი ფული სალაროში”** ან

კ. **1200 „ფული საბანკო ანგარიშზე”**

2) პარტიორის მიერ სესხის გასტუმრება:

დ. **1100 „ნაღდი ფული სალაროში”** ან

დ. **1200 „ფული საბანკო ანგარიშზე”**

კ. **1450 „მოთხოვნები პარტიორებზე გაცემული სესხიდან”**

სქემა №9

### აგზ. 1450 „მოთხოვნები პარტიორებზე გაცემული სესხებიდან”

დგბეტი	პრედიტი
ნაშთი პ/დ –	
დებეტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის კრედიტს:	კრედიტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის დებეტს:
1) კ. 1200 “ფული საბანკო ანგარიშზე” კ. 1100 “ნაღდი ფული სალაროში”	2) დ. 1100 “ნაღდი ფული სალაროში” დ. 1200 “ფული საბანკო ანგარიშზე”
ნაშთი პ/პ –	

### კაპიტალის შემსრულებელი პარტიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმღირავი ნაშილი

საწარმოთა დაფუძნებისას ან შემდგომში კაპიტალის გაზრდისას, პარტიორები იღებენ გადაწყვეტილებას კაპიტალის შევსების პირობების შესახებ. შენატანი შეიძლება თავიდანვე არ იყოს სრულად განხორციელებული და არსებობდეს პარტიორთა შეთანხმება მისი შემდგომ შევსებაზე. თუ პარტიორთა შეთანხმება ითვალისწინებს შენატანის განხორციელებას 1 წელზე მეტი ვადით ეს მოთხოვნა საწარმოში აისახება გრძელვადიან მოთხოვნებში, ხოლო თუ ის 1 წლამდე ვადით არის განსაზღვრული, ან წინა პერიოდში განსაზღვრულ მოთხოვნას დაუდგა შეტანის ვადა მიმდინარე წელს, მისი ასახვა ხდება

ანგ. 1460 „კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი”:

1460 „კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი” ანგარიშზე შეიძლება აისახოს შემდეგი სახის სამუშაოზე:

1) წარმოიშვა მოკლევადიანი მოთხოვნა საწესდებო კაპიტალის შევსებაზე:

დ. 1460 „კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი”;

კ. 5150 „საწესდებო კაპიტალი შპს-ში”;

2) წარმოიშვა მოკლევადიანი მოთხოვნა პარტნიორთა კაპიტალის შევსებაზე:

დ. 1460 „კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი”;

კ. 5210 „პარტნიორთა კაპიტალი”;

3) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწესდებო კაპიტალის შევსებაზე გრძელვადიანი მოთხოვნის ნაწილი გადატანილია მოკლევადიან მოთხოვნებში:

დ. 1460 „კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი”;

კ. 2330 „მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე”;

4) დაიფარა მოკლევადიანი მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე:

დ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში” ან

დ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე” ან

დ. 1600 „სასაქონლო-მატერიალური მარავი” ან

დ. 2100 „მირითადი საშუალებები” ან

დ. 2500 „არამატერიალური აქტივები”

კ. 1460 „კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი”.

სქემა №10

ანგ. 1460

“კაპიტალის შევსებაზე აართნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ზოლი”

დებეტი	კრედიტი
ნაშთი პ/დ –	
დებეტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის კრედიტს:	კრედიტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის დებეტს:
1) კ. <u>5150</u> „საწესდებო კაპიტალი” 2) კ. <u>5210</u> „პარტნიორთა კაპიტალი” 3) კ. <u>2330</u> „მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე”	4) დ. <u>1100</u> „ნაღდი ფული სალაროში” დ. <u>1200</u> „ფული საბანკო ანგარიშზე” დ. <u>1600</u> „სასაქონლო-მატერიალური მარავი” დ. <u>2100</u> „მირითადი საშუალებები” დ. <u>2500</u> „არამატერიალური აქტივები”
ნაშთი პ/ბ –	

## გრამვალიანი მოთხოვნების მიმღებარე ნაშილი

საწარმოს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია ინფორმაცია აქტივებისა და ვალდებულებების გადახდის ვადის შესახებ. საწარმომ ერთმანეთისაგან უნდა განაცალკევოს მიმღინარე და გრძელვადიანი მოთხოვნები. ამ პირობის გათვალისწინებით, როდესაც ბადლანის შედეგების თარიღისათვის რომელიმე გრძელვადიანი მოთხოვნის დაფარვის ვადა 12 თვეზე ნაკლებია, უნდა მოხდეს მისი რეკლასიფიკაცია. რეკლასიფიკაცია მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს გრძელვადიანი მოთხოვნებისათვის მოკლავადიანი მოთხოვნების სტატუსის მინიჭებას და შესაბამის ანგარიშზე გადატანას. საწარმო ამ ინფორმაციის ასახვისათვის იყენებს ანგ. **1470** „გრძელვადიანი მოთხოვნების მიმღინარე ნაშილი“.

**1470 „გრძელვადიანი მოთხოვნების მიმღინარე ნაშილი“** ანგარიშზე აისახება შემდეგი სახის სამეცნიერო ოპერაციები:

- 1) აქტივის იჯარით გაცემის შედეგად წარმოიშვა გრძელვადიანი მოთხოვნა და მისი მიმღინარე ნაწილი:
  - დ. **1470 „გრძელვადიანი მოთხოვნების მიმღინარე ნაშილი“**
  - კ. **2100 „მირითადი საშუალებები“**
- 2) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული გრძელვადიანი მოთხოვნის ნაწილი გადავიდა მიმღინარე მოთხოვნებში:
  - დ. **1470 „გრძელვადიანი მოთხოვნების მიმღინარე ნაშილი“**
  - კ. **2320 „ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები“**
- 3) მიღებულია გრძელვადიანი მოთხოვნების მიმღინარე ნაწილი:
  - დ. **1100 „ნაღდი ფული სალაროში“**
  - დ. **1200 „ფული საბანკო ანგარიშზე“**
  - კ. **1470 „გრძელვადიანი მოთხოვნების მიმღინარე ნაშილი“**

სქემა №11

### ანგ. 1470 „გრძელვალიანი მოთხოვნების მიმღებარე ნაშილი“

დგბეტი	პრედიტი
დაშილ პ/დ –	
დებეტით ეკორესპონდენტება შემდეგი ანგ-ის კრედიტს:	კრედიტით ეკორესპონდენტება შემდეგი ანგ-ის დებეტს:
1) კ. 2100 “მირითადი საშუალებები” 2) კ. 2320 “ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები”	3) დ. 1100 “ნაღდი ფული სალაროში” დ. 1200 “ფული საბანკო ანგარიშზე”
ნაშილ პ/ბ –	

### მომულებლებზე გადახდილი ავანსები

საწარმოს მიერ მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი თანხები თავისი ეკონომიკური შენარსით მოთხოვნებს მიეკუთვნება, მანამ, სანამ არ იქნება შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. ასეთი მოთხოვნები აისახება ანგ. **1480 „მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები”.**

**1480 „მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები”** ანგარიშზე აისახება შემდეგი სახის სამეურნეო ოპერაციები:

1) გაიცა ავანსი მომწოდებელზე:

დ. ***1480 „მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი”***

კ. ***1100 „ნაღდი ფული სალაროში”; 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე”***

2) მიღებულია მომწოდებლებისაგან აქტივი:

დ. ***1600 „სასაქონლო-მატერიალური მარავი” ან***

დ. ***2100 „ძირითადი საშუალებები” ან***

დ. ***2500 „არამატერიალური აქტივები”***

კ. ***1480 „მომწოდებელზე დაგანდილი ავანსები”***

სქემა №12

### ანგ. 1480 “მომულებლებზე გადახდილი ავანსები”

დებეტი	პრედიტი
დაში პ/დ –	
დებეტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის კრედიტს:	კრედიტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის დებეტს:
1) კ. 1100 “ნაღდი ფული სალაროში” კ. 1200 “ფული საბანკო ანგარიშზე”	2) დ. 1600 “სასაქონლო-მატერიალური მარავი” დ. 2100 “ძირითადი საშუალებები” დ. 2500 “არამატერიალური აქტივები”
დაში პ/პ –	

### 10 . 3 . 4 . სათამასუმო მოთხოვნები

- ✓ თამასუქი არის – ფასიანი ქაღალდი, დოკუმენტი, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად ან სხვა პირს ავალებს მის გადახდას.
- ✓ თამასუქს გააჩნია შემდეგი რეკვიზიტები: თამასუქის გამცემი და მისი ხელმოწერა, თამასუქის ვადა, დაფარვის თარიღი, საპროცენტო განაკვეთი, გასანაღდებელი თანხა, დისკონტის განაკვეთი და სხვა.
- ✓ თამასუქი 2 სახისაა მარტივი (სოლო) და გადასაპირებელი (ტრატა).

- ✓ მარტივი თამასუქი – მონაწილეობს ორი პირი: გამცემი (შემვსები) და მიმღები (მფლობელი).
- ✓ ტრატა – წარმოადგენს დავალებას, რომელსაც ადგენს კრედიტორი (ტრასანტი) გადამხდელისადმი (ტრასატისადმი), გადაუხადოს დათქმულ ვადაში თანხა მესამე პირს (რემიტენტს) თამასუქის წარმომდგენს, ან თამასუქში მითითებულ სხვა პირს. მას სჭირდება ტრასატის დადასტურება.
- ✓ თამასუქი, რომელიც გაცემულია 1 წლამდე ვადით მოკლავადიანია, სხვა გრძელვადიანი.
- ✓ თამასუქზე პროცენტი იანგარიშება ნომინალიდან და ის წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალს – თამასუქის მიმღებისათვის და საპროცენტო ხარჯს – გამცემისათვის.
- ✓ თამასუქის მიღება შეიძლება სესხის ან ნებისმიერი აქტივის სანაცვლოდ.

სათამასუქო მოთხოვნებს საწარმო ასახავს ანგარიშსზე **1510 „მიღებული მოკლევადიანი თამასუქები”**. რომელზეც შეიძლება აისახოს შემდეგი ოპერაციები:

1) რეალიზებულია საქონელი კრედიტით და მოთხოვნაზე მიღებულია თამასუქი:

- დ. 1510 „მიღებული მოკლევადიანი თამასუქები”  
კ. 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან”;

2) ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანება გადავიდა სათამასუქო მოთხოვნაში:

- დ. 1510 „მიღებული მოკლევადიანი თამასუქები”  
კ. 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან”

3) დაიფარა სათამასუქო მოთხოვნა:

- დ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში” ან  
დ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე”  
კ. 1510 „მიღებული მოკლევადიანი თამასუქები”.

სქემა №13

#### ანგ. 1510 “მიღებული მოკლევადიანი თამასუქები”

დებეტი	კრედიტი
ნაშთი პ/დ –	კრედიტით ეკორესპონდენტება შემდეგი ანგ-ის დებეტს:
დებეტით ეკორესპონდენტება შემდეგი ანგ-ის კრედიტს:	1) კ. 6110 “შემოსავალი რეალიზაციიდან” კ. 1410 “მოთხ. მიწოდ. და მომსახურებიდან”
ნაშთი პ/ბ –	2) დ. 1100 “ნაღდი ფული სალაროში” დ. 1200 “ფული საბანკო ანგარიშზე”

გრძელვადიანი თამასუქების მიმდინარე ნაწილის ასახვისათვის საწარმო იყენებს ანგარიშს **1520 „მიღებული გრძელვადიანი თამასუქების მიმდინარე ნაწილი”**: რომელზეც შეიძლება აისახოს შემდეგი ოპერაციები:

1) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გრძელვადიანი თამასუქების ნაწილი შეფასებულია და გადატანილია მიმდინარე ნაწილში:

- დ. **1520 „მიღებული გრძელვადიანი თამასუქების მიმდინარე ნაწილი”**
- კ. **2310 „მიღებული გრძელვადიანი თამასუქები”**

2) განაღდებულია სათამასუქო მოთხოვნა:

- დ. **1100 „ნაღდი ფული სალაროში”**
- დ. **1200 „ფული საბანკო ანგარიშზე”**
- კ. **1520 „მიღებული გრძელვადიანი თამასუქების მიმდინარე ნაწილი”**

სქემა №14

#### აგზ. 1520 “მიღებული გრძელვადიანი თამასუქების მიმდინარე ნაწილი”

დეპეტი	პრედიტი
ნაშთი პ/დ –	
დეპეტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის კრედიტს:	კრედიტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის დებეტს:
1) კ. <b><u>2310 „მიღებული გრძელ. თამასუქები”</u></b>	2) დ. <b><u>1100 „ნაღდი ფული სალაროში”</u></b> დ. <b><u>1200 „ფული საბანკო ანგარიშზე”</u></b>
ნაშთი პ/პ –	

### 10 . 3 . 5 . დარიცხული მოთხოვნები

მესამე პირის მიმართ მოთხოვნა ხშირად წარმოიშობა სასაქონლო ოპერაციების გარეშეც. იგი უკავშირდება საწარმოს მიერ, გამომუშავებულ მიუღებელ შემოსავლებს. საწარმო ვალდებულია გამომუშავებული და მიუღებელი შემოსავალი აღიაროს შემოსავლად და დარიცხულ მოთხოვნად. დარიცხული მოთხოვნები აღირიცხება **1800 ჯვაფის ანგარიშებში:**

- 1800 - “დარიცხული მოთხოვნები”**
- **1810 - “მისაღები დივიდენდები”**
- **1820 - “მისაღები პროცენტები”**
- **1890 - “სხვა დარიცხული მოთხოვნები”**

**1810 „მისაღები დივიდენდები”** ანგარიშზე შეიძლება აისახოს შემდეგი ოპერაციები:

1) საწარმოს მიერ ინვესტირებულია კაპიტალი სხვა საწარმოში. ინვესტირებული კომპანიის მიერ გამოცხადდა დივიდენდები:

**დ. 1810 „მისაღები დივიდენდები”**

**კ. 8120 „დივიდენდები”**

2) ინვესტორმა კომპანიამ მიიღო დივიდენდები:

**დ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში” ან**

**დ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე”**

**კ. 1810 „მისაღები დივიდენდები”**

სქემა №15

#### ანგ. 1810 “მისაღები დივიდენდები”

დებეტი	კრედიტი
ნაშთი პ/დ –	
დებეტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის კრედიტს:	კრედიტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის დებეტს:
1) კ. 8120 “დივიდენდები”	2) დ. 1100 “ნაღდი ფული სალაროში” დ. 1200 “ფული საბანკო ანგარიშზე”
ნაშთი პ/პ –	

#### მისაღები პროცენტები

საწარმო ბალანსის შედეგენის თარიღისათვის აღრიცხავს თამასუქის, ობლიგაციისა და სხვა ინსტრუმენტის მიერ საანგარიშგებო პერიოდში გამომუშავებულ საპროცენტო შემოსავალს. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, პროცენტის გათვლა კი შეიძლება ეფუძნებოდეს 360 და 365 დღიან მეთოდს.

360 დღიანი მეთოდის გამოყენებისას პროცენტის წლიური თანხა იყოფა 12 თვეზე და ყოველ თვეში ერთცხება ერთი და იგივე ოდენობით.

365 დღიანი მეთოდისას პროცენტის წლიური თანხა იყოფა წლის დღეთა რაოდენობაზე (365 ან 366), რითაც გამოითვლება 1 დღის პროცენტის თანხა. ამის შემდეგ კი ყოველ თვეში ეს თანხა მრავლდება თვის დღეთა რაოდენობაზე.

### საილუსტრაციო მაგალითი:

საწარმოს აღებული აქც 10,000 ლარის სესხი წლიური 24%-იანი განაკვეთით. წლიური სესხის % შეადგენს 10,000-ის 24% ანუ 2400 ლარს:

- 1) 360 დღიანი მუნიციპალიტეტი:  $2400 : 12 = 200$  ლარი. ესეივი ყოველთვიურად დაურიცხება 200 ლარი;
- 2) 365 დღიანი მუნიციპალიტეტი:  $2400 : 365 = 6,58$  ლარი. ესეივი ყოველდღიურად დაურიცხება 6,58 ლარი.

მისაღები პროცენტები აღირიცხება ანგარიშსზე **1820 „მისაღები პროცენტები”**, სადაც შეიძლება ოპერაციები შემდეგნაირად აისახოს:

- 1) საწარმო აღრიცხავს თამასუქის, ობლიგაციის გამომუშავებულ პროცენტს:

**დ. 1820 „მისაღები პროცენტები”**

**კ. 8110 „საპროცენტო შემოსავალი”**

- 2) საწარმომ მიიღო პროცენტი:

**დ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში” ან**

**დ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე”**

**კ. 1820 „მისაღები პროცენტები”**

სქემა №16

#### აგზ. 1820 “მისაღები პროცენტები”

დგბეჭი	პრედიტი
ნაშთი პ/დ –	
დებუტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის კრედიტს:	კრედიტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგ-ის დებუტს:
1) კ. 8110 „საპროცენტო შემოსავალი”	2) დ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში” დ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე”
ნაშთი პ/პ –	

### **10 . 4 . გრძელვაღიანი მოთხოვნების აღრიცხვა**

გრძელვაღიანს მიეკუთვნება ყველა მოთხოვნა, რომელიც წარმოშობიდან ან ფინანსური ანგარიშგების შედგენიდან 1 წლის შემდეგ გადაიხდება.

ასეთი მოთხოვნების მაგალითია ანგ. 2310 „მიღებული გრძელვადიანი თამასუქი”. რომელზეც შეიძლება აისახოს შემდეგი ოპერაციები:

1) გაცემულია გრძელვადიანი სესხი და სანაცვლოდ მიღებულია თამასუქი:

დ. 2310 „მიღებული გრძელვადიანი თამასუქი”

კ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში” ან

კ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე”;

2) დაფარულია გრძელვადიანი სათამასუქო მოთხოვნა:

დ. 1100 „ნაღდი ფული სალაროში” ან

დ. 1200 „ფული საბანკო ანგარიშზე”

კ. 2310 „მიღებული გრძელვადიანი თამასუქი”

სქემა №17

#### აგზ. 2310 „მიღებული გრძელვადიანი თამასუქი”

დებეტი	პრედიტი
ნაშთი პ/დ –	
დებეტით ეკორესპონტება შემდეგი ანგ-ის კრედიტს:	კრედიტით ეკორესპონტება შემდეგი ანგ-ის დებეტს:
1) კ. 1110 “ნაღდი ფული სალაროში” კ. 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდ ბანკში”	2) დ. 1100 “ნაღდი ფული სალაროში” დ. 1200 “ფული საბანკო ანგარიშზე”
ნაშთი პ/პ –	

ასევე გრძელვადიან მოთხოვნები აისახება ანგარიშებზე:

ანგ. 2320 – “ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები”

ანგ. 2340 – “გადავადებული საგადასახადო აქტივი”

ამ ანგარიშებზე ჩვენს მიერ აქამდე განხილული საკითხებისაგან, ეკონომიკური შინაარსით მნიშვნელოვნად განსხვავებული ინფორმაციები აისახება, რომლებსაც ჩვენ პროგრამაში შემდგომ თემებში განვიხილავთ.

## 10 . 5 . მოპლე ასენა განმარტებები

ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების შენიშვნებში საწარმომ უნდა ასახოს შემდეგი ინფორმაცია:

- ✓ დებიტორული დავალიანების ჯგუფები საწარმოს საქმიანობის მიხედვით;
- ✓ სავაჭრო მოთხოვნები;
- ✓ სათამასუქო მოთხოვნები;
- ✓ საწარმოთა გაერთიანებისას „ჯგუფის” სხვა წევრებისაგან მისაღები მოთხოვნები;
- ✓ დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები მოთხოვნები;
- ✓ გადახდილი ავანსები;
- ✓ სხვა მოთხოვნები.